შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის პოლიტიკა

დამტკიცებულია სს ,,ენერგოკავშირი“-ს

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

20.03.2025 წლის

წინამდებარე პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი წესები, ინსტრუქციები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სს ,,ენერგოკავშირი“-ს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების აღმოფხვრას, შემცირებასა და კონტროლს, რათა თავიდან იქნას აცილებული საწარმოს ტრამვები და უბედური შემთხვევები და გარემოს მავნე ზემოქმედება.

წინამდებარე პოლიტიკა შემუშავებულია საქართველოს შრომის უსაფრთხეობისა და გარემოსდაცვით კანონმდებლობის საფუძველზე.

1. ***პოლიტიკა***

   სს ენერგოკავშირის ხელმძღვანელობა მოწოდებულია უზრუნველყოს თანამშრომლების, კონტრაქტორების და იმ პირთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ვინც შესაძლოა დაზარალდეს კომპანიის საქმიანობის შედეგად. ხელმძღვანელობა ასევე მოწოდებულია თავიდან აიცილოს გარემოზე მავნე ზემოქმედება.

   კომპანიის მიზანია საქმიანობა წარმართოს უბედური შემთხვევების, სხეულის დაზიანებების და გარემოს მავნე ზემოქმედების გარეშე. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ხელმძღვანელობა: დანერგავს უსაფრთხოების და გარემოსდაცვით მართვის ეფექტურ სისტემას და უზრუნველყოფს მის მუდმივ გაუმჯობესებას; უზრუნველყოფს ყველა საჭირო რესურს (ფინანსური, ადამიანური...) აღნიშნული სისტემის გამართული მუშაობისთვის; უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხო გარემოს და პირობებს; საქმიანობას წარმართავს საკანონმდებლო მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად; უზრუნველყოფს საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებას და ეფექტურ მართვას.

   შრომის უსაფრთხოებაზე და გარემოზე ზრუნვა არის როგორც კომპანიის თანამშრომლების, ისე კონტრაქტორების პასუხისმგებლობა. მათი მოვალეობაა დაიცვას შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი წესები.

2. ***მოქმედების სფერო***

   წინამდებარე დოკუმენტი ვრცელდება კომპანიის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ საქმიანობაზე და სავალდებულოა შესასრულებლად.

3. ***შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი მართვის სისტემა***

შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი მართვის სისტემა წარმოადგენს კომპანიის კორპორატიული მართვის სისტემის მნიშვენლოვან ელემენტს. სისტემის მუშაობის პროცესი შედგება ოთხი ძირითადი ეტაპისგან:1. დაგეგმვა; 2.განხორციელება; 3.შემოწმება და კონტროლი; 4.გაუმჯობესება. ოთხივე მათგანი წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს.

4. პასუხისმგებლობა

კომპანიის თითოეულმა თანამშრომელმა უნდა გააცნობიეროს მისი პასუხისმგებლობა შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის კუთხით.

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია: უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის შესაბამისობა შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივ ნორმებთან და წესებთან; უზრუნველყოს შრომის უსაფრთხო გარემო; უზრუნველყოს პერსონალის ინფორმირება შესაძლო საფრთხეებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ; უზრუნველყოს ყველა საჭირო რესურსი შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვით მართვის სისტემის გამართული მუშაობისთვის.

ხელმძღვანელი და ზედამხედველი პირები პასუხისმგებლები არიან: სამუშაოზე დაუშვან მხოლოდ ის პირები, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და გავლილ აქვთ შესაბამისი შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვით ტრენინგები; დარწმუნდნენ რომ დასაქმებულები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისად ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით; დარწმუნდნენ, რომ დასაქმებულები უზრუნველყოფილები არიან შესაბამისი ინვენტარით, ტექნიკით, იარაღით და სხვა საჭირო საშუალებებით; შეაჩერონ სამუშაო თუ სამუშაოს შესრულება საფრთხეს უქმნის ადამიანს ან გარემო პირობებს; იქონიოს მჭიდრო კონტაქტი შრომის უსაფრთხოების სამსახურთან და შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვით საკითხებზე, რომელიც დაგას მათ წინაშე; გააცნოს თანამშრომლებს ყველა სიახლე შრომის უსაფრთხოებასთან და გარემოსდაცვასთან დაკავშირებით; ორგანიზება გაუკეთოს თანამშრომლების ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს. უზრუნველყოს თანამშრომლების უბედური შემთხვევების დაზღვევა.

დასაქმებული პირი პასუხისმგებელა: დაიცვას დადგენილი შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი წესები, ინსტრუქციები და პროცედურები; შეასრულოს სამუშაო და გამოიყენს ტექნიკა, ისნტრუმენტი ინსტრუქციის შესაბამისად; სამუშაო შეასრულო მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება; დაუყონებლივ მოახდინოს ხელმძღვანელის, შრომის უსაფრთხოების და კომპეტენტური პირის ინფორმიერბა თუ დგას მისი ან/და სხვისი სიცოცხლე და ჯამრთელობა საფრთხის წინაშე; დაესწროს ტრენინგებს და საინფორმაციო შეხვედრებს; არ გამოცხადდეს სამსახურში ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში.

შრომის უსაფრთხოების სამსახური პასუხისმგებელია: უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი მართვის სისტემის გამართული მუშაობა; უზრუნველყოს მენეჯმენტის ინფორმირება შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით; შეიმუშაოს და განაახლოს

შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის წესი, ინსტრუქციები და პროცედურები, უზრუნველყოს მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობა; უზრუნველყოს რისკების შეფასების პროცესის წარმართვა, კოორდინაცია და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება; მოახდინოს სამუშაო ადგილის შემოწმება, გამოავლინოს ნაკლოვანებები და ამის შესახებ მოახსენოს ხელმძღვანელობას; მონაწილება მიიღოს უბედური შემთხვევების მოკვლევაში, უზრუნველყოს მათი აღრიცხვა.

5. რისკების შეფასება და მართვა

რისკების შეფასების და მართვის პროცესი წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი მართვის სისტემის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. რისკების შეფასების მიზანია სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირება, ანალიზი, შეფასება და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა

რისკების შეფასების პროცესი შედგება ხუთი საფეხურისგან:1) საფრთხეების იდენტიფიცირება; 2)პირთა წრის განსაზღვრა; 3) საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრა და დანერგვა; 4) საკონტროლო ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელი პირის და პრევენციული აქტივობების ვადების განსაზღვრა; 5) შედეგების დოკუმენტირება და მონიტორინგი.

კომპანია იხელმძღვანელებს რისკების კონტროლის შემდეგი იერარქიით: 1) საფრთხის აღმოფხვრა; 2)საფრთხის შემცირება; 3) საფრთხესთან ადამიანების კონტაქტის პრევენცია; 4) უსაფრთხოდ მუშაობის პროცედურები; ე) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

6. დასაქმებულთა ინფორმირება. ტრენინგები და ინსტრუქტაჟები

ტრენინგები და ინსტრუქტაჟები წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვით მართვის სისტემის მნიშვენლოვან ნაწილს. მისი საშუალებით შესაძლებელია რისკების აღმოფხვრა, შემცირება და/ან კონტროლი. ტრენინგები და ინსტრუქტაჟები განაპირობებს კომპანიაში უსაფრთხო და გარემოსდაცვაზე ორიენტირებული შრომის კულტურის დამკვიდრებას და განვითარებას.

7. კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

კოლექტიური დაცვის საშუალებებს განეკუთვნება ტექნიკური და საინჟინრო საშუალებების ერთობლიობა, რომელიც კონსტრქუციულად და ფუქნციურად დაკავშირებულია საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესთან და განკუთვნილია საფრთხის შემცვლელი ფაქტორების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. კოლექტიური დაცვის საშუალებები უნდა იყოს ქარხნული, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს განეკუთვნება ტექნიკური და სხვა საშუალებები. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 23.12.2022წ. #590 დადგენილების მოთხოვნებს. კომპანია უზრუნველყოფს დასაქმებულებს შესაბამისი ინდივიდაულური დაცვის საშუალებებით, დასაქმებული თავის მხრივ ვალდებულია გაუფრთხილდეს მას, დროულად მოითხოვოს დაზიანებული საშუალებების შეცვლა.

8. შენობა-ნაგებობეში განთავსებული სამუშაო სივრცის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

შენობა-ნაგებობებში განთავსებული სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პირობები უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 01.07.2022 წლის #341 დადგენილებით დამტკიცებული ,,სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, რაც გულისხმობს: სამუშაო სივრცეში არსებული მოწყობილობების და დანადგარების ტექნიკუარდ გამართულობის უზრუნველყოფას და გამოვლენილი დარღვევების მიმართ ზომების მიღებას; დამცავი აღჭურვილობების რეგულარულად შემოწმებას და შეკეთებას, საჭიროების შემთხვევაში გამოცვალს; სამუშაო ადგილის მოვლა/დასაფუთავებას, იმდაგვარად რომ სამუშაო ადგილი იყოს მუდამ სუფთა.

9. უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოების წარმოებისას და სამუშაოს დასრულებისას

სამუშაოს შესრულებისას სამუშაოს დასრულებამდე დასაქმებულმა: უნდა გამოიყენოს საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები; სამუშაო აღჭურვილობა უნდა გამოიყენოს დანიშნულებისამებრ; უნდა შეაჩეროს სამუშაო, თუ გამოვლინდა გარემოებები, რომლებიც დადგენილი წესების შესაბამისად ითვალისწინებენ სამუშაოების შეჩერებას ან სააფრთხეს უქმნის მისი ან სხვების უსაფრთხოებას და მოახდინოს შრომის უსაფრთხოების სამსახურის ინფორმირება; სამუშაო განაგრძოს მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მიღების და განახლებული რისკების შეფასების დოკუმენტის შესაბამისად.

სამუშაოს დასრულების შემდეგ დასაქმებულმა: უნდა აალაგოს სამუშაო აღჭურვილობა; უნდა მოხსნას განთავსებული უსაფრთხოების ნიშნები; მხოლოდ ამის შემდეგ მოიხსნას ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

10. გარემოს დაცვა

გარემოზე ზრუნვა და გარემოსდაცვითი საკითხების ეფექტური მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ვადებულებას და უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რათა დაცული იყოს ადამიანის სიცხოცხლე, ჯანმრთელობა და თავიდან იქნას არიდებული გარემოზე მავნე ზემოქმედება.

სს ,,ენერგოკავშირისთვის" მნიშვენელოვანია ამ მხრივ შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება, რომელიც მოიცავს: ემისიების პრევენციას ჰაერში; მიწისა და წყლის დაბინძურების პრევენციას; ნარჩენების მართვას; ხმაურსა და მტვერს.

კომპანიისთვის ჰაერში სახიფათო ნივთიერებების ემისიის ძირითად წყაროს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებები და სამუშაო ტექნიკა, აღნიშნული საშუალებების შედეგად ჰაერის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად და მინიმუმამდე შესამცირებლად უნდა გატარდეს შედეგი ღონისძიებები: გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ ხარისხიანი საწვავი; მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს ძრავების ფუჭი მუშაობა; ტექნიკა, რომელიც გამოყოფს შავ კვამლს

დაუყონებლივ უნდა დაექვემდებაროს შემოწმებას და შეკეთებას; რეგულარულად უნდა ხორციელდებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოწმება.

მიწისა და წყლის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები: სატრანსპორტო საშუალება და სამუშაო ტექნიკა უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში რათა არ დაიღვაროს საწვავი მიწაზე; მიწაზე საწვავის დაღვრის შემთხვევაში უნდა მოხდეს მიწის მოჭრა/ამოთხრა და სპეციალურ ტომარაში მოთავსება, ნაგავსაყრელზე შემდგომში განთავსების მიზნით; არ უნდა მოხდეს სხვადასხვა ნარჩენების გადაყრა წყალში; დაუშვებელია ნავთობპროდუქტების ჩაღვრა წყლებში.

ხმაური და მტვერი ხშირად საფრთხეს უქმნის როგორც თანამშრომლებს ასევე საზოგადოების წევრებს. ხმაურის და მტვერის შემცირებისთვის უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები: სამუშაო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ხმის ჩამხშობი სისტემა უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში, ძრავები უნდა გამოირთოს თუ არ სრულდება რაიმე სამუშაო, მაქსიმალურად უნდა იქნეს არიდებული ღამის საათებში მუშაობა, უნდა მოხდეს ტერიტორიის წყლით მორწყვა რომ არ წარმოიქმნას მტვერი. ინფორმირებული უნდა იყოს საზოგადოება მოსალოდნელი ხმაურის შესახებ.

სს ,,ენერგოკავშირი“-ს საქმიანობის შედეგად წარმოქნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც გულისხმობს ნარჩენების შეგროვებას, დახარისხებას და სათანადო წესით განთავსებას. ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ გამოირიცხოს გარემოს დაბინძურება.